ამხ. სტალინის ისტორიული სიტყვის წლის თავი

წყლიწადი მეთოთხმეტე

პროლეტარიელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ქართული სტალინი

ამხ. ძ. ბ. (ბ) სრულ. და ცკ. პოლიტიკურების და საკ. საკის ორგანო

ტელეფონები: რედაქტორის—16—76, რედ. მოადგილის—33—17, სამდივნოს—10—58, ფინ. კონტროლის—3—31.

ხუთშაბათი, 23 ივნისი 1932 წ. № 145 (3399)

გადაჭრით გარდავქმნათ მთელი ჩვენი მუშაობა ბელადის მითითებათა საფუძველზე

„ამხ. სტალინის ექვსი მითითება—ეს ბოლშევიკური ხელმძღვანელობის მეთოდების გარდაქმნის ერთიანი პროგრამაა. არ შეიძლება ერთ რომელიმე მითითების განხორციელება ყველა დანარჩენებისაგან განცალკევებულად. ყველა ეს მითითებები განუყრელია ერთმანეთისაგან. ისინი წარმოადგენენ იმ ღონისძიებათა მთლიან სისტემას, რომლებიც მიმართულია ჩვენი მუშაობის რიცხობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლების შემდგომი გაუმჯობესებისაკენ, სოციალისტური მშენებლობის ტემპების შემდგომი დაჩქარებისაკენ“

(ამხ. პოსტიშევის სიტყვიდან მე-17 პარტკონფერენციაზე)

ურყევად და მთლიანად გავატაროთ ბელადის მითითებები

დღეს სრულდება ამხ. სტალინის მიერ სამეურნეო მუშაკთა თათბირზე წარმოთქმულ ისტორიულ სიტყვის წლის თავი. ამხ. სტალინმა თავის სიტყვაში გენიალური გამჭრიახობით მოხაზა გამარჯვების ექვსი აუცილებელი პირობა. ბრძოლა ამ ექვსი პირობის შესრულებისათვის — არის ბრძოლა მთელი ჩვენი მუშაობის გარდასაქმნელად იმ ახალი ამოცანების მიხედვით, რომელთაც გვიყენებს განვითარების ახალი პეროდები.

ამხ. სტალინის სიტყვამ უდიდესი როლი ითამაშა მთელი ჩვენი მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესების საქმეში; ძალა გამოიწვია მუშათა მრავალძ�nიონინან მასების ენტუზიაზმის აზრითრება, შრომის სოციალისტური ფორმების კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე აყვანა, სოციალისტური მშენებლობის ბოლშევიკური ტემპების განვითარება და წარმატებითი ბრძოლის გაშლა. ხუთწლედის ოთხ წელში შესრულებისათვის.

ამხ. სტალინის მითითებების განხორციელების შედეგად საფუძველი ჩაეყარა მუშა - ხელის ორგანიზაციულად შეგროვებას კოლტურნეობებთან ხელშეკრულებების დადების გზით; მთელი რიგი საწარმოები ამ მხრივ საუკეთესო მუშაობის ნიმუშებს იძლევიან. გაუმჯობესდა მექანიზაციის გატარება, საგრძნობლად შემცირდა მუშა - ხელის ცვალებადობა, ისპობა გათანაბრება და გაუპიროვნება, უმჯობესდება მუშათა საყოფაცხოვრებო პირობები; იქმნება ხუთშათა კლასის საკუთარი საწარმო - ტეხნიკური ინტელიგენცია, შეიცვალა დამოკიდებულება ძველი სკოლის ინჟენერ - ტეხნიკოსებისადმი, უფრო გაბედულად სწარმოებს მათი ჩაბმა მუშაობაში, მტკიცდება სამეურნეო ანგარიში და ამ ნიადაგზე იზრდება მრეწველობის შინაგანი დაგროვება.

მაგრამ ამ უდაო მიღწევებთან ერთად, რომლებიც მოიპოვეს საწარმოებმა ამხ. სტალინის მითითებათა გატარებით, არის ფაბრიკა - ქარხნები, მაღაროები, სამშენებლო ობიექტები, სამანქანო - სატრაქტორო საგზურები, საბჭოთა და კოლექტიური მეურნეობანი, რომლებმაც ჯერ კიდევ ვერ გაშალეს საჭირო ბრძოლა ბელადის მითითებების განხორციელებისათვის, ან დაკმაყოფილდნენ მხოლოდ ცალკე მითითებების გატარებით და ბრძოლა ექვსი მითითების მთლიანად გატარებისათვის შესცვალეს ბრძოლით ერთი ან ორი მითითების განსახორციელებლად.

დღემდე მოიპოვება საწარმოები, სადაც საჭიროდ არ მიაჩნიათ ხელშეკრულებების დადება კოლმეურნეობებთან ჭარბი მუშა - ხელის მოზიდვის მიზნით (გორის საკონსერვო ქარხანა), დაყრდნობილი არიან ოპორტუნისტულ თვითმდინარეობაზე და გაიძახიან— „მუშა თვითონ მოვა“-ო. ასეთი განწყობილება ძირშივე უნდა აღიკვეთოს. სამეურნეო მუშაკი, რომელმაც დღემდე ვერ შეიგნო „ახალი ვითარება, ახალი ამოცანები“, იქ „სამეურნეო მუშაკი კი არა—ანეგდოტია“. ასეთი მუშაკები დაუყოვნებლივ უნდა მოვაშოროთ წარმოებას.

მაგრამ არ კმარა მარტო ხელშეკრულების დადება, საჭიროა მისი შესრულება, შესრულების კონტროლი. საჭიროა ზრუნვა მოსულ მუშებისათვის სათანადო პირობების შესაქმნელად. ამ მხრივ განსაკუთრებით მოიკოჭლებს ტყიბულის მაღაროები, სადაც ამ ნიადაგზე გაიზარდა მუშათა ცვალებადობა. მიმდინარე წელში მაღაროებში მოზიდულია სულ 1467 მუშა, წასულია კი წარმოებიდან 1624. მაღაროებმა ვერ შესძლეს შენარჩუნებიათ არა თუ მოზიდული მუშები, არამედ ძველი კადრებიც კი. მარტო ივნისის პირველ დეკადაში მოვიდა 71 კაცი, წავიდა 142, ე. ი. ორჯერ მეტი. ეს მოწმობს, რომ ბელადის მითითება შრომის მოწესრიგების შესახებ მაღაროებში არ არის გატარებული.

არც სხვა მითითებების გატარების მხრივ გვაქვს სანუგეშო სურათი. სამეურნეო ანგარიში ტყიბულის მაღაროებში ნამდვილად ჯერაც არ ტარდება. არის სამეურნეო ანგარიშზე გადასული ბრიგადები, მაგრამ სამეურნეო ანგარიში მათში უფრო ფორმალურ ხასიათს ატარებს. მოიწესრიგებელია ალრიცხვა, ბრიგადებს დროზე არ ეძლევათ დავალებები, ხშირია ბრიგადის წევრების ერთი სამუშაოდან მეორეზე გადაყვანა, კვალიფიციური მუშების შავ სამუშაოზე გამოყენება, რაც საბოლოო ანგარიშში ხელს უშლის სამეურნეო ანგარიშის ნამდვილად გატარებას.

არის საწარმოები, სადაც მნიშვნელოვანი შედეგებია მიღწეული, გაუპიროვნების და გათანაბრების მოსპობის საქმეში, მაგრამ ამასთან ერთად არის ცალკე საწარმოები და ცეხები, სადაც წარმოების ამ სენს მაგრად აქვს გამჯდარი ფესვები. თუ რა ზიანი მოაქვს გაუპიროვნებას, სჩანს იქიდანაც, რომ ჭიათურის მარგანეცის № 17 ქარხანაში გასული წლის დეკემბერში გაუპიროვნების წყალობით მოხდა ავარია, რის გამო ქარხანა ერთ თვეს გაჩერებული იყო. გათანაბრება ჯერ კიდევ მოსპობილი არ არის ისეთ მოწინავე ქარხანაშიც კი, როგორიც არის სტალინის სახელობის სარემონტო ქარხანა.

მიუხედავად ამხ. სტალინის მითითებისა, შრომის პროცესების მექანიზაციის გატარების აუცილებლობის შესახებ, დღემდე ჩვენს საწარმოებსა და ახალ მშენებლობაზე შრომის პროცესების მექანიზაცია სუსტადაა გატარებული და მექანიზმები გამოყენებულია მხოლოდ 30—40 პროცენტით. გაუპიროვნების გამო მექანიზმები ხშირად ზიანდება, რაც იწვევს შეფერხებას მუშაობაში. მაგალითად, 10 ივნისს ტყიბულის მაღაროების დასავლეთ უბანში გაწყდა ელექტრონის გადამცემი ხაზი, რის გამო ღამის ცვლა მთლიანად გაცდა და გამოღებას დააკლდა 200 ტონაზე მეტი ნახშირი. 11 ივნისს აღმოსავლეთ უბანში დაზიანდა სარჩეცი მანქანა, რის გამო ღამის ჯერმა გამოღებას დააკლო 80 ტონამდე ნახშირი. მაღაროების მექანიკური ცეხი ძალზე ცუდათ მუშაობს, გაუპიროვნებულია ცალკე მექანიზმები, არ სწარმოებს მოწყობილობათა წინასწარ დათვალიერება და შეკეთება. ყველა ამის შედეგად წარმოებას ხელი ეშლება საწარმოო დავალებათა შესრულებაში.

ზემონათქვამიდან ამჟერია, რომ ბრძოლა ამხ. სტალინის ექვსი მითითების განხორციელებისათვის ვერ არის სათანადოთ გაშლილი საქართველოს საწარმოებში. სამეურნეო ორგანიზაციების და საწარმოების ხელმძღვანელობამ ყველაზან ვერ გარდაქმნა მთლიანად მუშაობა ახალი ამოცანების მიხედვით, მათი მუშაობა არ არის საკმაოდ მოქნილი და კონკრეტულ-ოპერატიული.

ეს კატეგორიულად აყენებს ჩვენს წინაშე საკითხს მუშობის გაძლიერების შესახებ ამ მხრივ უახლოეს ხანში. საკავშირო პროფსაბჭოს დადგენილებით, 15 ივნისიდან ტარდება ამხ. სტალინის ექვსი მითითების შესრულების მასიური თვითშემოწმება, რომელიც გაგრძელდება 1-ლ აგვისტომდე. ეს კამპანია გამოყენებულ უნდა იქნეს ყველა იმ მიღწევების და დაფეფერხების გამოსამჟღავნებლად, რომლებსაც ადგილი აქვს ბელადის მითითებათა გატარების საქმეში. ამავე დროს კამპანია უნდა დაეხმაროს ჩამორჩენილ საწარმოებს, მუშობის გამოსწორებაში.

თვითშემოწმება უნდა გაიაზალოს სოც - შეჯიბრების და დამკვიდრების საფუძველზე. ფართოდ გამოყენებული უნდა იქნას გამოძახების, გამოცდილების გაცვლა - გამოცვლის, ერთი წარმოების მიერ მეორესათვის სოციალისტური ანგარიშის წარდგენის და სხვ. მეთოდები. თვითშემოწმების შედეგად თვითეულმა წარმოებამ, თვითეულმა ცეხმა და ბრიგადამ უნდა შეადგინოს ამხ. სტალინის ექვსი მითითების შესრულებისათვის შემდგომი ბრძოლის კონკრეტული გეგმა. თვითშემოწმება უნდა გადიან ქნეს ბელადის მითითებათა მთლიანად განხორციელების შესაფერ იარაღად.

ბელადის ისტორიული სიტყვის წლის თავზე ჩვენ კიდევ უფრო უნდა გავაკეთოთ ამ სიტყვაში მოცემული მითითებათა შესასრულებლად. „თუ ჩვენ საქმით გავიტარებთ ამ მითითებებს და სისტემატიურად შევამოწმებთ და შეკისწავლით, თუ როგორ ტარდება ისინი, მაშინ ნამდვილად დავინერგავთ ჩვენი სამეურნეო ორგანიზაციების მუშაობაში ბოლშევიკური ხელმძღვანელობის გარდაქმნისათვის ბრძოლის ამ მთლიან, ცენტრალურ პროგრამას და უზრუველყოფთ 1932 წლის გეგმის 100 პროც. შესრულებას.“ (პოსტიშევი).

ინდუსტრიალიზაციის ფრონტიდან

ქვანახშირი

ტყიბული, 21 ივნისი (სპკ.კორ.) 20 ივნისს ტყიბულის მაღაროებში ამოღებულია 674 ტონა ქვანახშირი, დღიური დავალება შესრულებულია 67,4 პროც-ით. მუშაობდა 1077 მუშა. შრომის ნაყოფიერება თვითეულ მუშაზე უდრიდა 508 კილოს. რკინის გზამ მაღაროებს მოთხოვნილ 42 ვაგონის ნაცვლად მიაწოდა 32 ვაგონი.

ლ. ჯავახაძე.



აღმოვფხვრათ ხელისშემშლელი მიზეზები

მაქსიმალურად გამოვიყენოთ მოწყობილობა

(ტყიბული, საკ. კო. რესპონდენტისაგან)

ივნისის პირველ დეკადაში ტყიბულის ქვანახშირის მაღაროებში მაისისათვის გამოღების ტემპები ვერ იქნა შენარჩუნებული. გამოღებული იქნა 6748 ტონა ქვანახშირი, გეგმით კი უნდა გამოღებულიყო 9000 ტონა. **დავალება შესრულებულია 75 პროც.** წინა დეკადაში (მაისის მესამე დეკადა) გამოღებული იყო 7311 ტონა, ე. ი. 563 ტონით მეტი, ვინემ ივნისის პირველ დეკადაში. ამგვარათ, ტემპები შესუსტდა პირველ დეკადაში **5 პროც.**

სტალინის სახელობის ავტო-სახელოსნოები. —ხაუკეთესო დამკვრელი ამხ. ვ. სარქისიანი

გამოღების ტემპების შესუსტების მიზეზთა შორის მთავარია მუშა-ხელის სიმცირე და დიდი გაცდენები მექანიკური მოწყობილების სუსტი გამოყენების გამო.

მაღაროები, მიუხედავად მუშა-ხელის მოსაზიდათ მიღებულ მთელ რიგ ღონისძიებათა, განიცდიან მუშა-ხელის დიდ ნაკლებობას. ეს იმით არის გამოწვეული, რომ მაღაროების სამკუთხედმა ვერ შესძლო მოზიდული მუშა-ხელის მიმაგრება წარმოებაზე, ადგილი აქვს მუშა-ხელის დიდ დენადობას, ვინაიდან სამკუთხედმა ვერ მოაგვარა მოზიდული მუშებისათვის სათანადო პირობების შექმნის საკითხი, ვერ უზრუველყო მათთვის დროულად ხელფასის მიცემა, სპეციალსაცმელით ფეხსაცმელით დაკმაყოფილება და სხვ.

მიმდინარე წელში მიზიდულია სულ 1467 მუშა, წასულია კი წარმოებიდან 1624 კაცი. მაღაროებმა ვერ შესძლეს შეენარჩუნებიათ არათუ მოზიდული მუშები, არამედ საკუთარი კადრებიც კი. მარტო ივნისის პირველ დეკადაში მოსულია 71 კაცი, წავიდა 142 კაცი, ე. ი ორჯერ მეტი. ამავე დროს ძლიერ გაიზარდა გაცდენები და მიიღწია 8 პროც.-ს ეს ციფრები ნათლად მოწმობენ, რომ მაღაროების სამკუთხედმა ვერ მოაწესრიგა შრომა და მუშა-ხელის სწორად განაწილება მაშინ, როცა ზოგან ვვიარაბში მუშები საკმაოზე მეტია, ამავე დროს გაიეთა სამუშაოებზე მუშები არ კმარა და აღგილი აქვს მაღალი კვალიფიკაციის მუშების შავ მუშებათ გამოყენებას. დღემდე ვერ შესძლეს გარეთა სამუშაოზე მუშაობის ისე მოწესრიგება, რომ მიემაგრებიათ მუშა-ხელი გარკვეულ სამუშაოზე (მაგ. სარჩეცზე, გაგორებაზე და სხ.). და ამით შეექმნათ მუდმივი კადრები.

უკანასკნელად ძლიერ ცუდათ მუშაობს მაღაროების მექანიკური მოწყობილობა და ხშირია ამ მიზეზით გაცდენები. მაგ. 10 ივნისს ღამით გაწყდა დასავლეთ უბანზე ელექტროდენის გადამცემი ხაზი, რის გამოც ცვლა მთლიანად გაცდა და გამოღებას დააკლდა 200 ტონაზე მეტი ნახშირი. 11 ივნისს აღმოსავლეთ უბანში გატყდა სარჩეცის ნაწილი, რის გამოც ღამის ჯერმა გამოღებას დააკლო 70-80 ტონა ქვანახშირი, ასეთი შემთხვევები ხშირია. უკანასკნელად მექანიკური ცეხი ძლიერ ცუდათ მუშაობს, რაც აღრმავებს გარღვევებს. გაუპიროვნებულია ცალკე მოწყობილობები, არ სწარმოებს მოწყობილობათა წინასწარი დათვალიერება და შეკეთება, რომ თავიდან აცილებული იქნას ავარიები და გაცდენები.

საჭიროა დაუყოვნებლივ შემოწმებული იქნას სამანქანო-ცეხის შემადგენლობა და მიღებულ იქნას გადამჭრელი ზომები ხელმძღვანელობის გასაძლიერებლად.

სამეურნეო ანგარიში ტყიბულის მაღაროებში ნამდვილად ჯერაც არ ტარდება. მაღაროების სამკუთხედმა დღემდე ვერ შესძლო მუშაობის გარდაქმნა ბელადის 6 მითითების საფუძველზე. კერძოთ მოუწესრიგებელია მუშა-ხელის მიზიდვის და წარმოებაში შენარჩუნების საქმე. ამიტომ საჭიროა ეხლავე იქნას ძიღებული ზომები, როგორც უბნების და ცეხების, ისე მთლიანად მაღაროების სამკუთხედის ხელმძღვანელობის გასაძლიერებლად. აქეთკენ უნდა დაიარაზოს მაღაროების პარტორგანიზაციის და დამკვრელ მუშათა მთელი ყურადღება.

ტყიბულის მაღაროები გამოყვანილი უნდა იქნას გარღვევების რკალიდან.

ლ. ჯავახაძე.

ფერო-მარგანეცის ქარხნის მშენებლობაზე

აღებული ტემპები ვერ უზრუველყოფენ ქარხნის ვადაზე ამოშავებას

(ზესტაფონი, საკუთარ კო. რესპონდენტისაგან)

ზესტაფონის ფერო-მარგანეცის ქარხნის მშენებლობის შესახებ საკმაოთ ბევრი დაიწერა ჩვენი გაზეთის ფურცლებზე. აღნიშნული იყო ქარხნის მშენებლობაზე აღებული ტემპები ვერ უზრუველყოფენ ქარხნის თავის დროზე დამთავრებას.

ქარხნის მშენებლობის პარტიული — კომკავშირული, ტეხნიკური, პროფესიონალური და სამეურნეო ხელმძღვანელობის მუშაობა ჯერ კიდევ არაა გარდაქმნილი ამხ. **სტალინის** ექვსი პირობის საფუძველზე. მშენებლობაზე ადგილი აქვს უყაირაობობის და დაუდევრობის მთელ რიგ ფაქტებს.

ქარხნის მშენებლობაზე 1932 წლის 1-ლი კვარტალის და აპრილის თვის სალმშენებლო გეგმები, როგორც ვიცით, დიდი გარღვევებით დამთავრდა, ეს მდგომარეობა მაისშიც გრძელდებოდა. ასე, მაგალითად, მაისის გეგმის შესრულება ცალკე ობიექტებზე შემდეგ სურათს იძლევა: მშენებლობის ერთ ობიექტზე, როგორიცაა ღუმელების შენობის მშენებლობა, მაისის გეგმა შესრულებულია 126,3 პროც.-ით. მშენებლობის დანარჩენ ობიექტებზე გეგმების შესრულებაში სამარცხვინო ჩამორჩენას აქვს ადგილი. ასე მაგალითად მარგანეცის გადასატვირთი ბუნკერების მშენებლობის გეგმა შესრულებულია 32,2 პროც.-ით, 1-ლი ივნისისათვის გეგმა შესრულებული უნდა ყოფილიყო 86,5 პროცენტით, ფაქტიურად კი შესრულდა 63,4 პროც.

კირის ბუნკერების აგების გეგმა მაისში შესრულებულია 18 პროცენტით, 1-ლი ივნისისათვის კი ნაგულისხმევი 75,6 პროც. ნაცვლად შესრულებული იქნა 50 პროც., ცენტრალური ბუნკერების მშენებლობა, რომელიც მარტში უნდა დაწყებულიყო, დაიწყო მაისში, და გეგმა შესრულებულია მხოლოდ 1 პროცენტით.

რკინის გზის ხაზის მშენებლობის გეგმა მაისში შესრულებულია 10 პროც.-ით, 1-ლი ივნისისათვის სამუშაოები 80 პროც. ნაცვლათ შესრულებულია 57,1 პროც.-ით.

მექანიკური სახელოსნოს აგების გეგმა მაისში შესრულებულია 1 პროცენტით. ღია და დახურული ქვესადგურები, რომლებიც 1-ლი ივნისისათვის უნდა დამთავრებულიყო, ჯერ კიდევ არაა ოამთავრებული.

როგორც ვხედავთ, მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს ობიექტებზე მაისის თვის საალმშენებლო გეგმების შესრულებაში დიდ ჩამორჩენას აქვს ადგილი. ყოველივე ეს შედეგია ქარხნის მშენებლობის სამკუთხედის მოუქნელი მუშაობის; მშენებლობის სამკუთხედმა ჯერ კიდევ ვერ გარდაქმნა თავის მუშაობა ამხ. სტალინის 6 მითითების საფუძველზე.

ზესტაფონის რაიკომის ხელმძღვანელობა ფერო - მარგანეცის ქარხნის მშენებლობისადმი ფორმალურ ხასიათს ატარებს; გაზეთი „მშრომელთა ენტუზიაზმი“ ვერ ბედავს დაარტყას ქარხნის მშენებლობაზე არსებულ დეფექტებს და არ ამხელს კონკრეტულად — თუ ვისი დაუდევრობით არ სრულდება გეგმები.

ფერო-მარგანეცის ქარხნის მშენებლობა საალმშენებლო მასალებით ძირითადად უზრუველყოფილია, მაგრამ უთაო, მოუქნელი სამეურნეო ხელმძღვანელობით მისი მიწოდება, მშენებლობისათვის უგეგმოდ სწარმოებს.

გარდა იმისა, რომ მშენებლობაზე ადგილი აქვს დაუდევრობას, უპასუხისმგებლობას და არასებული რესურსების გამოუყენებლობას, მშენებლობის სამკუთხედი აშკარა პოპორტუნისტული განწყობილების შედეგათ დაეყრდნო თვითმიმდინარეობაზე და არ იბრძოლა ამხ. სტალინის მითითების საფუძველზე გაეძლიერებია ბრძოლა მუშა - ხელის ორგანიზაციულათ შეგროვებისათვის. აქვე უნდა ითქვას, რომ საარაონო პარტიულმა კომიტეტმაც არ მიიღო გადამჭრელი ზომები ქარხნის მშენებლობისათვის მუშა - ხელის მიწოდების საკითხის პრაქტიკულათ მოგვარებისათვის.

ეხლაც უნდა იქნას მიღებული გადამჭრელი ზომები, რომ გატარდეს ქარხნის მშენებლობაზე ორცალიანი მუშაობა, ზესტაფონის საარაონო ხელმძღვანელობა სათავეში უნდა ჩაუდგეს ქარხნის მშენებლობისათვის საჭირო მუშა - ხელის ორგანიზაციულათ შეგროვებას და პრაქტიკულთან გაატაროს ცხოვრებაში ამხ. სტალინის ეს მთავარი პირობა.

ქარხნის მშენებლობაზე წარსულთან შედარებით მუშათა კულტურულ - საყოფაცხოვრებო პირობები, გაუმჯობესდა, მაგრამ იგი საკმარისი მაინც არ არის. მშენებლობაზე არსებულ მუშათა სასადილოებში სადილების ხარისხი (ჯული, მუშეს) არ ეძლეკათ გეგმით გათვალისწინებული ხორცი, სასადილოში გამეფებულია უსუფთაობა, ადგილი აქვს სადილების მიღების დროს რიგებს და, სხვ. კოოპერაციის მუშობა არაა გარდაქმნილი საკ. კ. პ. (ბ) ცკ-ის 1931 წ. 12 მაისის დადგენილების საფუძველზე, ხშირი შემთხვევებია, როდესაც კოოპერაციის სავაჭროებში ნოქრები საქონელს „ძმა - ბიუროთ“ ანაწილებენ.

მშენებლობაზე სუსტია საეკონომიო დახმარების საქმე; მშენებლობას არ ყავს ექიმი, რის გამო ნაშრომთ ავათყოფები გაუშინაგავი ჩრებიან არ არის აფთიაქიც. მუშა - მოსამსახურეთა ბინებში სანიტარული — ჰიგიენური პირობები ცუდია;

15 ივლისიდან ქარხნის კორპუსის მშენებლობასთან ერთად გათვალისწინებულია მისი სამონტაჟო მუშაობის დაწყებაც, რათა ქარხნის კორპუსი სამი ღუმელისათვის 20 სექტემბრამდე იყოს დამთავრებული. ამავე დროისათვის უზრუველყოფილი უნდა იქნას პირველი ელექტრო ღუმელის ამუშავება.

ქარხნის სამონტაჟო მუშაობისათვის უნდა აშენდეს მთავარი მექანიკური სახელოსნო, რომლის აგებისათვის მუშობა მაისში დაიწყო და, ჩვეულ თვის გეგმა შესრულებულ იქნა მხოლოთ 1 პროც.-ით

საკირო ტემპები გაცხოველება. იმის გამოსარკვევად, თუ რომელ ხელმძღვანელზე უფრო მეზანაშწონელი იქნება ქარხნის მუშობა, ა.-წ. 16 ივნისიდან თბილისში მუშაობს საცდელი ღუმელი, რომელიც ჩაატარებს ქარხნისათვის გამოსადეგ ნედლეულის გამორკვევის ცდებს. ცდებმა საბოლოოდ უნდა მოგვცეს დაზუსტებული მაჩვენებლები; ქარხნისათვის გამოსადეგ ნედლეულის შესახებ. (ბიები იწარმოებს აჯამეთ-ჩხარის მარგანეცზეედაც.

ფერო-მარგანეცის ქარხნის მშენებლობაზე 1-ლი ივნისისათვის მუშობდა 968 მუშა. ბრიგადები მშენებლობაზე არის სულ 40. აქედან სოც. შეჯიბრებაში ჩაბმულია მხოლოთ 543 მუშა, მათ შორის დამკვრელია 287.

სოც. შეჯიბრება - დამკვრელობის შედეგების ალრიცხვა კამპანიურ ხასიათს ატარებს და არ ხდება საუკეთესო დამკვრელი მუშების დაჯილდოება.

სამეურნეო ანგარიშის ბრიგადების მუშაობა ჯერ კიდევ არაა დამაკმაყოფილებელი, რაც გამოწვეულია

თბილისის სანიტარ ქარხნის შემკრები ბრიგადა ამ. ეფ. თოდუაძისა—ხაუკეთესო დამკვრელი, დაჯილდოებულია ფრომის წითელი დროშის ორდენით

სუსტი ტეხნიკური და სამეურნეო ხელმძღვანელობით.

მარტო ქარხნის ძირითად მშენებლობაზე (საალმენელ შენობის, მარგანეცის, კირის და ცენტრალური ბუნკერების მშენებლობა) 25 ბრიგადიდან სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანილია მხოლოთ 8 ბრიგადა. ბრიგადებში ადგილი აქვს ხშირ გაცდენებს, მაისში გაცდენები უდრიდა 4 პროც.-ს. მშენებლობაზე ამხანაგური სასამართლოების მუშაობა სუსტია. გაცდენები, რომელიც წარმოების მტერია, დაუყოვნებლივ უნდა აღმოიფხვრას.

ჯერ კიდევ სუსტია ტეხნიკის დაუფლების წრეების მუშაობა.

ფერო-მარგანეცის ქარხნის მშენებლობაზე მუშობის ტემპები უნდა გაძლიერდეს; ქარხნის მშენებლობის სამკუთხედმა ბოლომდე უნდა გარღვაქნას თავისი მუშაობა ამხ. სტალინის 6 ისტორიული მითითების საფუძველზე.

ს. კ. პ. (ბ) ზესტაფონის რაიკომმა უნდა გააძლიეროს კონკრეტული, ოპერატიული ხელმძღვანელობა ფერო-მარგანეცის ქარხნის მშენებლობაზე და ზესტაფონის პატრონორგანიზაციის ყურადღების მობილიზაციით უზრუველყოს ქარხნის ვადაზე ამუშავება.

აკ. ნიკოლეიშვილი

გამარჯვების 6 პირობა

მოწესრიგებულად შევაგროვოთ მუშა-ხელი კოლმეურნეობებთან ხელშეკრულებების დადების გზით და მოვახდინოთ შრომის მექანიზაცია.

* * *

მუშა-ხელის ცვალებადობის მოსპობა, გათანაბრების მოსპობა, სამუშაო ხელფასის სწორი ორგანიზაცია, მუშათა ყოფაცხოვრების პირობების გაუმჯობესება.

* * *

მოვსპოთ გაუპიროვნება, გავაუმჯობესოთ შრომის ორგანიზაცია, სწორად გავანაწილოთ ძალები საწარმოში.

* * *

მივაღწიოთ იმას, რომ საბჭოთა ქალშირის მუშათა კლასს ყავდეს თავისი საკუთარი საწარმო-ტეხნიკური ინტელიგენცია.

* * *

დამოკიდებულების შეცვლა ძველი სკოლის ინჟენერ - ტეხნიკოსებისადმი, მეტი ყურადღების მიქცევა მათთვის და მეტი მზრუველობა მათზე, მათი გაბედულად ჩაბმა მუშაობაში.

* * *

დავნერგოთ და განვამტკიცოთ სამეურნეო ანგარიში, გავადიდოთ მრეწველობის შინაგანი დაგროვება.

ისევ ძველი ფესვით მუშაობენ

კურსების გრანიტის ქარხანამ აპრილის საწარმოო გეგმა 21 პროც. შეასრულა. 100.000 ცალი ძელაკის ნაცვლად, დაამზადა 21.450 ცალი. ქარხანაში მუშობდა 136 მუშა გათვალისწინებულ 337 კაცის მაგიერ. მდგომარეობა არც მაისში გაუმჯობესებულა. მაისში ქარხანამ გამოუშვა 41296 ცალი ეგემით გათვალისწინებულ 150.000 ცალის ნაცვლად. **თვეური დავალება შესრულებულია 27,8 პროცენტით.**

ამგვარად, ქარხანა გაორღვევების რკალშია მოქცეული. ამის მიზეზი კი არის ის, რომ გრანიტის ქარხანაში დღემდე არავის უფიქრია მუშობის გარდაქმნაზე ბელადის 6 მითითების საფუძველზე. ძელაკს ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს საკალაჭო მშენებლობის საქმეში. მიუხედავად ამისა, გრანიტის ქარხანას დღემდე არ ეძლევა ყურადღება არც ცენტრალურ და არც რაიონულ ორგანიზაციებისაგან. ქარხანა შედის საქ. სააღმშ. მასალათა ტრესტის სისტემაში, მაგრამ ამ უკანასკნელს არავითარი ზომები არ მიუღია ქარხნის მუშობის გაუმჯობესებისათვის. მუშა ხელის ორგანიზაციულად შეგროვების მიზნით აქ სრულიად არაფერი არაა გაკეთებული. სამეურნეო ანგარიშზე ლაპარაკიც ხომ ზედმეტია. ქარხანაში მუშობს ერთი ლოკომობილი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას. ჯერ კიდევ გასულ წლიდან შეკვეთილი იყო ერთი ახალი ლოკომობილი, ტრესტმა ეს მანქანა მიიღო, მაგრამ სხვა ქარხანას მიყიდა, ხოლო გრანიტის ქარხნისათვის შეიძინა ძველი მანქანა „გრონზბი“, რომელიც მრავალი ნაწილები აკლდა. დღემდე ნაწილების დამზადება ვერ მოხერხდა, რის გამო მანქანის დასადგმელად გასული წლის სეპტემბრიდან ჩამოსული სამონტაჟო ბრიგადა უსაქმოდ არის და ქარხნიდან მასზე დიდი ხარჯი მიდის.

მასიური მუშაობა ქარხანაში ვერ სდგას თავის სიმაღლეზე. ქარხნის ყველა საამქროები არ არიან ჩაბმული სოცშეჯიბრებადამკვრელობაში. სულ სოცშეჯიბრებაში ჩაბმულია 72 მუშა, დამკვრელად აქვთ თავი გამოცხადებული 62 კაცს.

ამჟამად ქარხანა გადავიდა თბილისის აღმასკომის კომუნალურ განყოფილების ხელში, მაგრამ მას ჯერ არავითარი დახმარება არ გაუწევია ქარხნისათვის მუშაობის გარდაქმნის საქმეში.

ლ. ჯ.



ამხ. სტალინის 6 მითითების შესრულების მასიურ თვითშემოწმების შესახებ

საკ. კ. პ. (ბ) ა.კ. სამხარეო კომიტეტის დადგენილება

1. ამხ. სტალინის ექვსი მითითებ ბის შესრულების მასიურ თვითშემოწმებასთან და კოლხელშეკრულებათა ვალდებულებების შესრულების შეშემოწმებასთან დაკავშირებით, რომელიც საკავშირო პროფსაბჭოს გადაწყვეტილების თანახმად ტარდება 15 ივნისიდან 1-ლ აგვისტომდე, წინადადება მიეცეს პარტიის ცენტრალურ, საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს უზრუველყონ თვითშე მოწმება სისტემატიური პარტხელმძღვანელობით და ეს მუშაობა დაუკავშირონ საკ. კ. პ. (ბ) ცკ-ას 31 ოქტომბრის გადაწყვეტილების შესრუ-ლების თვითშემოწმებას, რომელიც ამჟამად ტარდება.

2. წინადადება მიეცეს ა.-კ. პროფსაბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, მისცეს ადგილობრივ ორგანიზაციებს ვრცელი მითითებები ამხ. სტალინის ექვსი მითითების და კოლხელშეკრულებათა ვალდებულებების შესრუ ლების მასიურ თვითშემოწმების ამოცანებისა, წესისა და ფორმების შესახებ.

3. თვითშემოწმების ძირითად ამოცანად დასახულ იქნას: მუშათა მასების აქტივობის მობილიზაცია 1932 წლის საწარმოო - საფინანსო გეგმის შესრულებისათვის თვითეული სამრეწველო წარმოების და უბნის, საბჭოთა მეურნეობის, სამანქანო - სატრაქტორო სადგურის და სხვ. მიერ., პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციების როლის ამაღლება ბრძოლაში მუშათა მატერიალურ - საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომი გაუმჯობესებისათვის, პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციების მუშაობის გამოცდილების და საუკეთესო ნიმუშების გამომჟღავნება და გავრცელება.

4. წარმოებებში მასიური თვითშემოწმების მუშაობის გასაშლელად ამხ. სტალინის ექვსი მითითების შესრულებისათვის შემდგომი ბრძოლის ორგანიზაციის კონკრეტული გეგმის შესადგენად და ადგილობრივ ორგანიზაციებისათვის დახმარების გასაწევად ამ გეგმის რეალიზაციის საქმეში გაიგზავნოს 1—1½ თვით 4 ბრიგადა შემდეგ წარმოებებში: ოქტომბრის რევოლიუციის სახელობის ნავთის გადამამუშავებელი ქარხანა, თბილისის ბრეშუმის ფაბრიკა, განჯის დეპო და ალავერდის მაღაროები.

5. სამხარეო, რესპუბლიკანურმა და ადგილობრივმა პრესამ რეგულიარულად გააშუქოს თვითშემოწმების მიმდინარეობა, რისთვისაც მოაწყოს გამოძახება, გამოცდილების გაზიარება და სხვ.

საქართველოს ეროვნული

სამეურნეო ანგარიშის დანერგვა სუსტად სწარმოეგს

(რიონჰესი)

რიონჰესის მშენებლობის ოთხივე უბანზე არსებულ 92 ბრიგადიდან სამეურნეო ანგარიშზე გადასულია მხოლოდ 47 ბრიგადა — 906 კაცის შემადგენლობით.

ამხ. ქეშოკლიძე—სტალინის სახ. შემკ. ქარხნის საქვაბე საამქროს სამეურნეო ანგ-ს საუკეთესო ბრიგადირი

მიუხედავათ იმისა, რომ არსებობს შესაძლებლობა ცვლებში სამეურნეო ანგარიშიანობის გატარებისა, რიონჰესის ხელმძღვანელობის მიერ დღემდე ამ მიმართულებით ძალიან სუსტი მუშაობა არის ჩატარებული.

ცალკე საამშენებლო უბნებზე მომუშავე სამ. ანგ. ბრიგადებს უსდებათ ერთი სამუშაოდან სხვა სამუშაოზე გადასვლა, რის გამო განსაზღვრულ სამუშაოს, რომელიც მათ აქვთ მიცემული განრიგის მიხედვით, ბრიგადები ვერ ასრულებენ. ეს ხელს უშლის აგრეთვე შესრულებულ სამუშაოთა აღრიცხვას. სამეურნეო ანგარიშის შეუფასებლობის შედეგათ რიონჰესის № 3 გვირაბის სამუშაოებზე სრულიად არ არის გადასული სამეურნეო ანგარიშზე არც ერთი ცვლა, შტრეკი და ბრიგადა.

არ არის აგრეთვე სამ. ანგარიში გატარებული ექსკავატორებზეც. დღემდე არ მომხდარა საუკეთესო სამ. ანგარიშის ბრიგადების დაჯილდოება. სამ. ანგარიშის კომკავშირული დამკვრელი ბრიგადები გეგმებს გადაჭარბებით ასრულებენ და შრომის ნაყოფიერების ზრდის მხრივ 140—200 პროც. ასრულებენ დავალებას.

დღეისათვის მშენებლობაზე არსებობს კომკავშირის სამ. ანგარიშის 9 ბრიგადა. სოც. შეჯიბრის და დამკვრელობის ფართეთ გაშლით კ.კ. ბრიგადებში მინიმუმამდე არის დაყვანილი გაცდენები. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ სამ. ანგარიშის ბრიგადებს დროზე არ ეძლევათ სამუშაოთა გეგმები და განრიგი, რის გამო ბრიგადები წყდებიან გეგმით გათვალისწინებულ სამუშაოს და მუშაობის ხარისხიც არადამაკმაყოფილებელია.

სამეურნეო ანგარიშის დანერგვას რიონჰესის ბრიგადებში, ცვლებში, შტრეკებში და ექსკავატორებზე განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. ბელადის ისტორიული სიტყვის წლის თავზე სამეურნეო ანგარიშის დანერგვის საქმეში უნდა მოხდეს საფუძვლიანი გარდატეხა.

შალვა ჯაფარიძე.

გარდატეხა არ მომხდარა

(26 კომ. სახელობის ქარხანა)

26 კომუნარის სახელობის ქარხანას ლითონტრესტის ქარხნებს შორის სპატიო ადგილი უჭირავს. მისი მოვალეობაა მისცეს სოციალისტურ მშენებლობას მექანიკური მოწყობილობანი.

ქარხანამ გასული წლის გეგმა გარღვევებით დაამთავრა. პირველი კვარტალის გეგმა 88,2 პროცენტით შეასრულა, აპრილის გეგმა—70,7 პროცენტით, ხოლო მაისის გეგმა—78,2 პროც. ეს იმის მაჩვენებელია, რომ ქარხანამ დროზე ვერ მიიღო ზომები ყველა საჭირო მასალების მოსამარაგებლად და ვერ უზრუნველყო გეგმების შესრულება. ქარხანაში ძალზე აქვს ფეხი გადგმული მუშათა ცვალებადობას. პირველ კვარტალში ქარხანაში 795 მუშა ითვლებოდა, აპრილს თვეში 722 და მაისში კი ფაქტიურად მუშაობდა 604 მუშა. ასეთ მდგომარეობის გამოსასწორებლად დღემდე არ არის მიღებული გადამჭრელი ზომები. დიდი მოთხოვნილებაა კვალიფიციურ მუშებზე, მაგრამ მათ მომზადებაზე არავინ ზრუნავს.

სათანადო ყურადღება არ ექცევა შრომის სოციალისტურ ფორმების გამოყენებას პირველ კვარტალში სოცშეჯიბრში ჩაბმული იყო 371 მუშა, აპრილში კი 683. აღნიშნული მდგომარეობა იმის მაჩვენებელია, თუ როგორ ცუდათ იბრძვის ქარხანა შრომის სოციალისტური ფორმების ფართოდ გაშლისათვის.

ქარხანაში სულ 53 ინჟენერ-ტეხნიკოსია; აქედან სოც-შეჯიბრში ჩაბმულია 36 და დამკვრელად აქვს თავი გამოცხადებული 17 ინჟენერ-ტეხნიკოსს.

არ არის გატარებული სამეურნეო ანგარიშიანობა ყველა ბრიგადებსა და საამქროებში. დღემდე სამეურნეო ანგარიშზე გადასულია 15 ბრიგადა და 21 დაზგა 162 მუშის შემადგენლობით. სხვა ბრიგადების მიმართ არავითარი მუშაობა არ სწარმოებს მათი სამ. ანგარიშზე გადასაყვანად.

ამ ბოლო დროს ძალზე შესუსტდა მასიურ-აღმზრდელობითი მუშაობა. ქარხანაში გამოდის ნაბეჭდი კედლის გაზეთი „ურო" და ცალკეულ საამქროებში კედლის გაზეთები, მაგრამ ისინი სისტემატიურად ვერ იბრძვიან გეგმების შესრულებისათვის.

ამხ. ბაგლუმიანი—სტალინის სახ. შემკ. ქარხნის სახარატო საამქროს სამეურნეო ანგ-ს საუკეთესო ბრიგადირი

ყველა საამქროებში წუნის ლიკვიდაციისათვის შემოღებულია დაფები, სადაც სისტემატიურად მეღავნდება წუნის გამომშვები დაზგების და ხელმძღვანელის ვინაობა. ამ მხრივ წუნის შემცირებაში კარგი შედეგი არის.

გასული ხუთი თვის მუშაობის შედეგათ ქარხანას წლიური გეგმა შესრულებული აქვს 31,9 პროცენტით. ამ მდგომარეობის გამოსწორებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ქარხნის ადგილობრივმა ორგანიზაციებმა და უნდა მოახდინონ გარდატეხა თავიანთ მუშაობაში.

გ—ლი.

როგორ გატარდა ბელადის მითითებები

სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაციის სამუშაოებზე

სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაციის სამუშაოების მუშათა საუბნო კომიტეტმა ბელადის გამოჯანდების ექვსი პირობის შემოწმება დაიწყო 10 იენისიდან თვითეულ სამუშაო უბანზე გამოიყო ბრიგადები შემოწმების ჩასატარებლად.

ბრიგადების მიერ შეგროვილი მასალე ბიდან სჩანს, რომ ელექტროფიკაციის სამუშაოებზე დღემდე მთლიანად გატარებული არ არის ამხ. სტალინის ექვსი ისტორიული მითითება.

მუშა-ხელის ორგანიზაციულად შეგროვების საქმე აქ საჭირო სიმაღლეზე არ დგას. საქმე იმაშია, რომ ელექტროფიკაციის სამუშაოების ზოგიერთ უბანში დღემდე არ დაუდგიათ კოლმეურნეობებთან ხელშეკრულებები მუშა-ხელის ორგანიზაციულად შეგროვებისათვის (მაგ. პირველი უბნის სამუშაოები), რაც შეებება მეექვსე უბანს იქ კოლმეურნეობებთან დადგეს ხელშეკრულება და ამით „ეამამავრეს საქმე. არაკინ არ ადევნებს თვალყურს, თუ როგორ სრულდება ეს ხელშეკრულება. მუშა-ხელის ორგანიზაციულად შეგროვების საქმისადმი ასეთ კაზიონურ დამოკიდებულებას ბოლო უნდა მოეღოს.

სამეურნეო ანგარიშის ბრიგადების ჩამოყალიბების საქმეშიც თითქმის ასეთივე მდგომარეობაა. მართალია სამუშაოთა უმრავლეს უბნებში ჩამოყალიბებულია სამეურნეო ანგ. ბრიგადები, მაგრამ ისინი უფრო ფორმალურად არიან გადასული სამეურნეო ანგარიშზე. სამეურნეო ანგარიშის ბრიგადას მიერ შესრულებულ ნამუშევრის ზუსტი აღრიცხვა არ წარმოებს. არ არის ამის ცნობები, თუ სამეურნეო ანგარიშის ბრიგადა, როგორ იბრძვის სამუშაოთა შესრულების ხარისხისათვის, მასალის ეკონომიისათვის და სხვა. ზოგიერთი სამუშაოზე ფლეაც არ არის ჩამოყალიბებული სამეურნეო ანგარიშის ბრიგადა (სტალინისის დახურული ქვესადგურის სამონტაჟო სამუშაოები).

მუშათა მომარაგებას ელექტროფიკაციის სამუშაოებზე საჭირო ყურადღება არ ექცევა. მართალია სტალინისაში გაჩსნილია მუშათა დახურული სასადილო, მაგრამ ის მუშათა გაზრდილ მოთხოვნილებებს ოდნავ ვერ აკმაყოფილებს. აქ მუშებისათვის საკმარისი კერძი არ მზადდება და რაც კეთდება—ისიც დაბალი ხარისხისაა.

მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაზე შესახებ ლაპარაკიც ზედმეტია. სტალინისში არის მუშათა კლუბი, მაგრამ ის თავის დანიშნულებას ვერ ამართლებს. აქ ერთხელაც არ დადგმულა წარმოდგენა და არ გაუშვიათ კინო-სტანია. არ არის ჩამოყალიბებული საკლუბო წრეები, არ არის სამკითხველო. მართალია მუშათა უბნებში დადგმულია რადიო, მაგრამ ის უმრავლეს შემთხვევაში სდუმს. ამგვარად, მუშების კულტურულ-ტექნიკურად აქ ოთხქმის არ სწარმოებს. ამ მდგომარეობის გამოსწორებისათვის არაფერ არ ზრუნავს. კერძოდ, სუფნის კომიტეტი ამ მხრივ აშკარა ოპორტუნისტულ თვითდინებას ეყრდნობა. ასეთი პირობების შექმნის გამო საუბნო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. კირია მოხსნილი იქნა სამუშაოდან. საჭიროა საუბნო კომიტეტის ახალმა ხელმძღვანელმა მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს.

ტეხდანორმების და ხელფასის ანაზღაურების საქმეში ადგილი აქვს მთელ რიგ ნაკლოვანებებს. სანარდო სისტემა აქ უმთავრეს შემთხვევაში გატარებულია, მაგრამ აქაური ნორმები ამიერ-კავკ. სახკომსაბჭოს მიერ დაწესებულ ნორმებთან შეფარდებითი არ არის. ერთი კილოგრამი რკინის არმატურის დამზადებისათვის აქ ღებულობენ 0,2 კაკ. ნაცვლად 0,4 კაკ. ერთ მეტრ. შეღებვისათვის 0,32 კაკ. ნაცვლად 120 კ. და სხვ. ასეთი მდგომარეობა დაუყოვნებლივ უნდა აღმოიფხვრას. სამუშაოთა მწარმოებლებმა უნდა იბრძოლონ ამიერ-კავკ. სახკომსაბჭოს ნორმების გატარებისათვის.

რაც შეებება საწარმოო თათბირების მუშაობას, ამ მხრივ დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა არ არის. ზოგიერთი სამუშაოზე შემოღებულია საწარმოო თათბირები (მეექვსე უბანი), მაგრამ მათი მუშაობა ძალზე სუსტია.

ტეხნიკის შემსწავლელი წრეების მუშაობა ვერ სდგამს თავის სიმაღლეზე. განსაკუთრებით ეს ითქმის საალმშენებლო სამუშაოზე ჩამოყალიბებულ ტეხნიკის შემსწავლელ წრის შესახებ. ხელმძღვანელის ტეხნიკოს ჭაკოშვილის დაუდეგრობისა და ფანატიზმის გამო ეს ორგანიზაციაც ვერ ასრულებს ნაკლებ ნაყოფიერებას. ეს ორგანიზაციაც ოპორტუნისტულ ხასიათს ატარებს. ეს ორგანიზაციაც ოპორტუნისტულ ხასიათს ატარებს. ეს ორგანიზაციაც ოპორტუნისტულ ხასიათს ატარებს.

ამ ბოლო დროს ეს ორგანიზაციაც ოპორტუნისტულ ხასიათს ატარებს. ეს ორგანიზაციაც ოპორტუნისტულ ხასიათს ატარებს.

საქ. ა. ლ. კ. კ. მე-11 ყრილოგიდან

150 ენტუზიასტი ალაზნის ბამბის ფრონტზე

გუშინ, საქ. ა. ლ. კ. კ. მე-11 ყრილობის დილის და საღამოს სხდომაზე მოსმენილი იქნა საქ. კომკავშირის ცკკას მდივნის **ამხ. გიორგობიანის** საანგარიშო მოხსენება და ბ. კ. ო. ც. ბ. ამხ. **გოგუაძის** თანამოხსენება.

საღამოს სხდომის მეორე ნახევარში გაიმართა გაცხოველებული კამათი, მოსმენილ მოხსენებების ირგვლივ. კამათში მონაწილეობა მიიღო ამხ. **მგელაძემ** (აფხაზეთი); **ბოლქვაძემ** (აჭარისტანი), **ტაგიევმა, რუხაძემ** და სხვ.

კამათში გამოსული ამხანაგები აღნიშნავდენ საქ. კომკავშირის ცკკას ძველი ხელმძღვანელობის მიერ დაშვებული მთელი რიგი შეცდომებზე კომკავშირის მუშაობის გარდაქმნის საქმეში, რომლის ფამოსწორებაც საქ. კომკავშირის ცკკას ახალმა ხელმძღვანელობამ საბრძოლო ამოცანად დაისახა.

კამათში გამოსული ამხანაგებისაგან გამოირკვა, რომ აფხაზეთის ორგანიზაციებს სამაგალითო გარღვევები ჭონდათ თამბაქოს გეგმების შესრულების დარგში. გარღვევების საილუსტრაციოთ კომკავშირის ორგანიზაციამ ასტეხა განგაში და თამბაქოს გეგმების შესრულების საქმეში. მოახდინა საგრძნობი გარღვევა.

თბილისის ბურის ქარხნებში (ფაკი) სამეურნეო ანგარიშზე და ერთმმართველობა ფორმალურადაა გატარებული.

ქარხნის დირექტორები მოკლებული ირიან საშუალებას დამდგარ უშუალოდ რაიმე ხელშეკრულებაზე.

ორგანიზაციის სახელობის ქარხანაში საამქროს შორის დადებულია ხელშეკრულება პროდუქციის გადაცემის შესახებ, მაგრამ მატერიალური პასუხისმგებლობა ხშირად არ სრულდება. ყველა საამქროებს აქვთ დადებული საკვარტ. ხელშეკრულება მომარაგების განყოფილებასთან, სადაც ალნიშნულია მატერიალური პასუხისმგებლობაც, მაგრამ ეს პასუხისმგებლობა სრულდება ნაწილობრივ და ან სრულიად არ სრულდება. მომარაგების განყოფილება პასუხისმგებლობას სრულიადაც არ ანადგენს (არ სწარმოებს რეალური ზარალის ანაზღაურება).

მაგრამ, სამეურნეო ანგარიშის დანერგვის საქმეში არსებულ მრავალი ნაკლის მიუხედავად, მთელ რიგ საწარმოებში, საამქროს სამეურნეო ანგარიშმა უკვე მოგცეა საგრძნობი მატერიალური ეფექტი. მაგალითად, ორგანიზაციის სახ. ქარხანაში საამქრო-სამეურნეო ანგარიშმა 1932 წლის პირველი კვარტალისათვის მოგცეა 28 ათასი მანეთის ეკონომია.

მოწინავე საწარმოების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სამეურნეო ანგარიში ხელს უწყობს სოციალისტური შეჯიბრების და დამკვრელობის შემდგომ ზრდაზე და განვითარებას, იქმნება სოციშეჯიბრის ახალი უმაღლესი ფორმა—სამეურნეო ანგარიშის ბრიგადა. სამ. ანგარიშის ბრიგადით დამთავრდა დამკვრელობის ორგანიზაციული ფორმის ძებნის ერთი პერიოდი. სამეურნეო ანგარიშის ბრიგადებს ამოცანებს შეადგენს: ზინაბანგრეწელთა დაგრავების გაძლიერება, გათანაბრების და გაუპირველობების ლიკვიდაცია, ზრომის სწორი ორგანიზაცია, წარმოების ტეხნიკის საფეხთი დაუფლება, და, საბოლოო ანგარიშით, გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება.

ამგვარად სამეურნეო ანგარიშის ბრიგადა ყველაზე უფრო შეეფერება იმ ამოცანებს, რომლებიც დასახულია ამხ. სტალინის ისტორიულ სიტყვაში.

1931 წლის ივნისსა და ივლისის საქართველოში სამეურნეო ანგარიშის ბრიგადების რიცხვი ერთიოლოთ განისაზღვრებოდა, ადგილი ,ქონდა მხოლოდ სამეურნეო ანგარიშის ბრიგადების მოწყობის გაუხდელ ცდებს, ამჟამად კი სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანილია რამდენიმე ათეული და ასეული ბრიგადა და სამეურნეო ანგარიშის ბრიგადებში ჩაბმულია მუშათა საგრძნობი რაოდენობა.

საქართველოს 17 საწარმოს მიხედვით 1932 წლის პირველ კვარტალს სამეურნეო ანგარიშის ბრიგადებში ჩაბმული იყო მუშათა 60 პროცენტი (14,567 მუშიდან სამეურნეო ანგარიშის ბრიგადებში ირიცხებოდა 8.789 კაცი).

სტალინის სახ. სარემონტო ქარხანაში 1932 წლის 1-ლ მაისისათვის 563 ჯგუფიდან სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანილი იყო 295 ჯგუფი, 406 დაზგიდან—229 დაზგა 335 ინდივიდუალურად მომუშავეთაგან სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანილი იყო 170 კაცი. სულ მთელს ქარხანაში ხოცშეჯიბრების უმაღლეს ფორმაში—სოციალისტურ სამეურნეო ანგარიშში ჩაბმული იყო 1.937 კაცი.

სტალინის სახ. ფეხსაცმელის ფაბრიკაში მოწყობილია 28 ბრიგადა, რომელშიაც ჩაბმულია 132 მუშა (ფაბრიკაში სულ არის 381 მუშა).

თბილისის მაუდის და აბრეშუმის საქსოვ ფაბრიკებში სოციალისტურ სამეურნეო ანგარიშში ჩაბმულია მუშათა 60-70 პროცენტი.

ის სამეურნეო ანგარიშის ბრიგადები, რომელთა მუშაობისათვის შექმნილია ცოტათ თუ ბევრად ხელსაყრელი პირობები, იძლევიან სოციალისტური შრომის საუკეთესო ნიმუშებს, იძლევიან გეგმიან დავალებათა შესრულების მაღალ მაჩვენებლებს.

მაგალითად, თბილისის მაუდს ფაბრიკის საკამეოლო განყოფილებაში 8 სამეურნეო ანგარიშის ბრიგადამ 1932 წლის 4 თვის განმავლობაში მოგვცა 9.412 მანეთის ეკონომია. არასრული ცნობებით. 1932 წლის პირველი კვარტალის განმავლობაში სარემონტო ქარხნის 9 საამქროს სამეურნეო ანგარიშის ბრიგადამ 38.344 მანეთის ეკონომია და სხვ.

ამასთანავე უნდა ითქვას, რომ ასეთი ბოდიშების მიუხედავად, ჩვენში ჯერ კიდევ ადგილი აქვს ბრიგადული სამეურნეო ანგარიშის შეუფასებლობას, როგორც სამეურნეო ორგანიზაციების, ისე პროფესიონალიერი ორგანიზაციების მხრით. არის ისეთი საწარმოები, სადაც ბრიგადული სამეურნეო ანგარიში ან სრულიად არ არის შემოღებული ან შემოღებულია ფორმალურად და არ იძლევა არავითარ ეფექტს. (თბილისის აბეჯრის ფაბრიკა, ხოს დამშეშავებელი მრეწველობა, ხოცა-თოვნის მრეწველობა, საშაქარლაშა წარმოება). მექანიკურ ქარხანაში 600 კაციდან ბრიგადულ სამეურნეო ანგარიშზე გადასულია მხოლოდ 78 კაცი (10 ბრიგადა). ახალ მექანიკურ ქარხანაში მოწყობილია მხოლოდ 5 სამეურნეო ანგარიშის ბრიგადა, რომელშიაც ჩაბმულია 20 კაცი.

ძალიან ხშირად სამეურნეო ანგარიშზე ბრიგადების გადაყვანა ფორმალურად ხდება და კამპანიის ხასიათს ატარებს, არ სწარმოებს სამეურნეო ანგარიშის ბრიგადების გამმტკიცება, მათი მუშაობაში ადგილი აქვს თვითნებობებს, აღრიცხვის საქმე, რომელიც სამეურნეო ანგარიშის საფუძველს წარმოადგენს, უსმაგალოდ არის დაყენებული.

თბილისის მაუდის ფაბრიკაში სამეურნეო ანგარიშის ბრიგადების მუშაობის შედეგებზე აღრიცხვა ბრძოლაში მეზაღრეთა გადაყვანის მატერიალურ - საყოფაცხოვრებო და კულტურული მომსახურების გაუმჯობესებისათვის, სისუფთავის, წესრიგის და უნარიანობისათვის სადგურებსა და გზაზე ეზაღრეთა მომსახურების გაუმჯობესების საქმეში, ამხ. აშხაცავას წინადადებას ყრილობის დეკლარატი დიდათ მიესალმენ. წინადადება ერთხმად იქნა მიღებული. ამხანაგები გუშინ 5. საღამოს, სხდომის დასრულებამდე, გაეგზავნენ ალაზნის ბამბის სპეციალისტთა სეზონრეობაში.

საღამოს სხდომის დასასრულს გამოცხადებული იქნა საკავშირო სროლის რესპუბლიკაკურ კონკურსში მონაწილეთა გამარჯვებულ რაიონების სია. სროლაში პირველი ადგილი დაიჭირა ამხ. ს. ორჯონიკიძის სახ. კომკავშირის რაიკომმა, რომელმაც მიიღო დროშა.

ყრილობის შემდეგი სხდომა შეესდგება დღეს, დილის 9 საათზე.

ამხ. გ. გიორგობიანის მოხსენების შემოკლებული ანგარიში მოთავსებული იქნება ჩვენ გაზეთში.

საქ. ა. ლ. კ. კ. მე-11 ყრილობიდან

150 ენტუზიასტი ალაზნის ბამბის ფრონტზე

გუშინ, საქ. ა. ლ. კ. კ. მე-11 ყრილობის დილის და საღამოს სხდომაზე მოსმენილი იქნა საქ. კომკავშირის ცკკას მდივნის **ამხ. გიორგობიანის** საანგარიშო მოხსენება და ბ. კ. ო. ც. ბ. ამხ. **გოგუაძის** თანამოხსენება.

საღამოს სხდომის მეორე ნახევარში გაიმართა გაცხოველებული კამათი, მოსმენილ მოხსენებების ირგვლივ. კამათში მონაწილეობა მიიღო ამხ. **მგელაძემ** (აფხაზეთი); **ბოლქვაძემ** (აჭარისტანი), **ტაგიევმა, რუხაძემ** და სხვ.

კამათში გამოსული ამხანაგები აღნიშნავდენ საქ. კომკავშირის ცკკას ძველი ხელმძღვანელობის მიერ დაშვებული მთელი რიგი შეცდომებზე კომკავშირის მუშაობის გარდაქმნის საქმეში, რომლის ფამოსწორებაც საქ. კომკავშირის ცკკას ახალმა ხელმძღვანელობამ საბრძოლო ამოცანად დაისახა.

კამათში გამოსული ამხანაგებისაგან გამოირკვა, რომ აფხაზეთის ორგანიზაციებს სამაგალითო გარღვევები ჭონდათ თამბაქოს გეგმების შესრულების დარგში. გარღვევების საილუსტრაციოთ კომკავშირის ორგანიზაციამ ასტეხა განგაში და თამბაქოს გეგმების შესრულების საქმეში. მოახდინა საგრძნობი გარღვევა.

ბოლქვაძემ (აჭარისტანი) **ტაგიევმა, რუხაძემ** (ბაკინ. ფ.) **ბოლქვაძემ** (ბაკინ. ფ.) **ბოლქვაძემ** (ბაკინ. ფ.) **ბოლქვ

გავავრცელოთ სესხზე ხელის მოწერა

ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის მთელ 100 პროცენტზე

რას აცხადებს მოჯამაგირე ახმედ-ალი-ოღლი

(ფარაია)

ხუთწლედის დამამთავრებელი წლის სესხის რეალიზაცია ყარაის რაიონში მხოლოდ 18 იუნისს დაიწყო. 19 და 20 ივნისს მიტინგები ჩატარდა რკ. გზის სადგურზე, ბამბის საბჭოთა მეურნეობაში, სამანქანა-სატრაქტორო სადგურში, საავადმყოფოში, კოოპერაციის და სახვაჭრობის მუშათა შორის.

მიტინგებზე გამოიტანეს დადგენილებები, რომლითაც ერთხმად იწონებენ მთავრობის დადგენილებას და ხელს აწერენ სესხზე ერთი თვის ხელფასის რაოდენობით. ხელის მოწერის კ

განსაზოგადოებულ პირუტყვს—კულტურული ბინები

განსაზოგადოებული პირუტყვისათვის ბინების მშენებლობა—სადღეისო საბრძოლო ამოცანაა

მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობებში და საკოლმეურნეო - სასაქონლო ფერმებში მშენებლობის გეგმების შესრულებისაგან არის უმთავრესად დამოკიდებული ის საგანგებო დავალებათა მთლიანად და დროზე შესრულება, რომელსაც პარტია და ხელისუფლება უყენებს მათ.

როგორც წარსული წლების გამოცდილებიდან ვიცით, პირუტყვის მასიური დაავადება და დაღუპა (განსაკუთრებით ზამთრის პერიოდში) გამოწვეული იყო იმით, რომ განსაზოგადოებული პირუტყვი არ იყო უზრუნველყოფილი სათანადო საღგომებით ამ მხრივ ჩვენ უნიჯეზო მდგომარეობა გვქონდა მეცხოველეობის ისეთ ძირითად რაიონებში, როგორიცაა: სოღანი, ბაშკარეთი აღბულად-მანგლისი, წალკა და სხვ.

საქ. კპ. (ბ) ცენტრალური კომიტეტმა თავის 4 აპრილის დადგენილებაში გარკვეული წინადადება მისცა მეცხოველეობის ტრესტებს, გაეშალათ დამკვრელი მუშაობა ამ მიმართულებით და უახლოეს მომავალში გამოესწორებიათ სამარცხვინო ჩამორჩენა, რომელიც ჩვენ გვაქვს პირუტყ. საღგომების და სხვა ნაგებობათა მშენებლობის დარგში, ცეკა წინადადებას აძლევდა, როგორც ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა, ისე მეცხ. საკოლმეურნეო ორგანიზაციებს, მიექცეთ ამ მშენებლობისადმი განსაკუთრებული და სერიოზული ყურადღება.

მიუხედავად ყოველივე ამისა, მშენებლობა მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობებში და საკოლმეურნეო-სასაქონლო ფერმებში მიმდინარეობს აშკარად არადამაკმაყოფილებლად. კიდევ მეტი—არის მთელი დარგები და მეურნეობანი სადაც ამ მშენებლობას ჩაშლა მოელის.

საქართველოს მიწადმოქმედების კომისარიატის ცნობების მიხედვით 1932 წლის ხუთი თვის განმავლობაში (პირველი ივნისამდე) მეცხოველეობის მეურნეობებში მშენებლობა გეგმა საერთოდ შესრულებულია მხოლოდ 6 პროცენტით, აქედან კარაპეტრესტის ხაზით 4,9 პროც. მეღორგ. ტრესტის ხაზით 1,1 პროცენტით. ადგილობრივი საშენი მასალის დაგზავნის გეგმა შესრულებულია ჭელორეთების ტრესტის მიერ 3 პროცენტით; კარაპეტრესტის მიერ 40 პროცენტით და მეცხოველეობის კრიტიკად რაიონებში ფერმების მიერ 20—40 პროცენტით.

ამ ჩამორჩენის ძირითად მიზეზად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ საბჭოთა მეურნეობის ტრესტები ოვითმიმდინარეობას მიეცნენ და არ მიიღეს გადამწყვეტი ზომები პარტიის დავალებათა ღირსეულ შესრულების უზრუნველყოფისათვის. გარდა ამისა ყველაფრიდან მტკიცდება, რომ ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციები ზოგან თითქმის არავითარ დახმარებას და ხელმძღვანელობას არ უწევენ ამ მეტად სერიოზულ და მნიშვნელოვან საქმეს.

ზემოაღნიშნულ მშენებლობის ჩამორჩენაზე დიდი გავლენა იქონია აგრეთვე საშენი ძარალის ნაკლებობამ. აღსანიშნავია, რომ მეცხოველეობის მეურნეობათა ნაგებობის მშენებლობას დროზე არ ეძლევა საშენი მასალის ის ნაწილი, რომელიც მას უნდა მიეღო ცენტრალიზებული ფონდიდან.

ადგილობრივი ორგანიზაციები და პირველ რიგში მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობები **არ ღებულობენ საჭირო ზომებს ადგილობრივი საშენი მასალის მოგროვებისა და მცირემოდენიანის მოგროვებისათვის.** მოეფიო რაიონები და ორგანიზაციები, რომელთაც შეეძლოთ საშენი მასალის დამზადების გეგმა უმტკივნეულად შეესრულებინათ — თიხის-თითზე არ ადებენ ამ მიმართულებით.

ამ მდგომარეობას ყოველ მიზეზს გარეშე დაუყოვნებლივ უნდა მოეღოს ბოლო მეცხოველეობის თვითეულ საბჭოთა მეურნეობამ და თვითეულ საკოლმეურნეო-სასაქონლო ფერმებმა, თავის ხაბრძოლო ამოცანად უნდა დასახონ მშენებლობის გეგმების კონკრეტულად შესრულება—უმაღლეს ვადაში.

ადგილობრივმა ორგანიზაციებმა პირველ რიგში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ საშენი მასალის დამზადებას, განსაკუთრებით ადგილობრივი რესურსების მოგროვებისა ამ დარგში.

„საკნოფლმშენმა“ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს **მშენებლობის მუშა-ხელით მოგროვებას** (დღემდე ეს მშენებლობა მუშა-ხელით უზრუნველყოფილია მხოლოდ 34 პროც.). მუშა-ხელი პირველ რიგში და უმთავრესად შეგროვილი უნდა იქნას კოლმეურნეობებთან სათანადო ხელშეკრულებების დადების საფუძველზე.

„კარაკტრესტის“ და მეღორეობის ტრესტის მიერ პირუტყვის ნაგებობათა მშენებლობა **უზრუნველყოფილი** უნდა იქნას კონკრეტული-ოპერატიული ხელმძღვანელობით. ამ ორგანიზაციებმა უნდა გამოყონ **პერსონალური პასუხისმგებელი** ცალკე დარგების მიხედვით მშენებლობის დროზე დამთავრების **უზრუნველყოფად.** განსაკუთრებით **გაძლიერებული** უნდა იქნას აგრეთვე მუშაობა საზოგადოებრივი კვების მეკვიდრ ნოადაგზე დასაყენებლად ამ მშენებლობაზე ხაზით. ცეკავშრომა და მომზარაგების კომისარიატმა დაუფოვნებლივ უნდა გადასდგას პრაქტიკული ნაბიჯი ამ მიმართულებით.

მტკიცედ უნდა დავიმახსოვროთ, რომ პირუტყვის ნაგებობათა მშენებლობას **უდიდესი მნიშვნელობა** აქვს მეცხოველეობის **პროგლეგის** უსწლოვან მოგავალი **ბადაჭრისათვის.** სასაკონლო **პროდუქციის გადიდებისათვის და დამზადების საგეგმო დავალებათა ვალიანად შესრულებისათვის.**

მეცხოველეობის მეურნეობათა მშენებლობას უნდა მიექცეს მთელი პარტიული, საბჭოთა და საკოლმეურნეო ორგანიზაციების განსაკუთრებული ყურადღება. დავარეშთო მთელი ძალები, თავდანირთ ადგილობრივი რესურსების მობილიზაცია და გავშალოთ დამკვრელი მუშაობა განსაზოგადოებული პირუტყვის კულტურულ ნაგებობათა მშენებლობის დროზე დამთავრებისათვის.

დ. რ.

როგორ „განასაზოგადოეს“ წვრილ-ფეხა პირუტყვი სოფ. რაბათის კოლმეურნეობაში

(ახალციხის რაიონი)

ახალციხის რაიონის, სოფ. რაბათის ამხ. ენუქიძის სახელობის კოლმეურნეობაში ადგილი აქვს პარტიის პოლიტიკის უხეშ დაღაბინძვებებს კოლმეურნეობათა ქონების განსაზოგადოების საქმეში, რაც პარტიის დირექტივების აშკარა დარღვევას წარმოადგენს.

ალნიშნულ კოლმეურნეობის გამგეობამ მოახდინა წვრილფეხა პირუტყვის და ფრინველის გაერთიანება კოლმეურნეობაში. ეს ღონისძიება **ეწინააღმდეგებოდა** ცეკ-ის ერთ-ერთ **ბრძანებულებას** „ოლონ-ბერეს კოლეგიის ბრძანებულების სიტყვით კონფერენციის მონაწილეთა ვერავითარ პასუხს ვერ იძლევიან კითხვაზე — უნდა გაგრძელდეს თუ არა კონფერენცია სუთი სახელმწიფოს დეკლარაციის გამოქვეყნების შემდეგ“. კოლესნიკო